

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
მცირე და საშუალო საწარმოებისათვის**

შპს ალტურას

2018 წ 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ზ ი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3 გვ.
2. სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 4 გვ
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5-9 გვ.

შპს ალტურას

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშ- ვნები	31/12/2017 ლარში	31/12/2018 ლარში
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	580 763	877
სავაჭრო მოთხოვნები	4	388 057	479 718
გადახდილი ავანსები	5	289 119	298 530
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები)	6	588 871	150 220
სხვა მიმდინარე აქტივები	7	<u>56197</u>	<u>20 587</u>
სულ მიმდინარე აქტივები:		<u>1 903 007</u>	<u>949 932</u>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	76 237	63 327
		<u>76 237</u>	<u>63 327</u>
სულ აქტივები		<u>1 979 244</u>	<u>1 013 259</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
სავაჭრო ვალდებულებები	9	<u>1 138 086</u>	37 131
სულ ვალდებულებები		<u>1 138 086</u>	<u>37 131</u>
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	10	1 100	1 100
გაუნაწილებელი მოგება	11	<u>840 058</u>	<u>975 028</u>
		<u>841 158</u>	<u>976 128</u>
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>1 979 244</u>	<u>1 013 259</u>

შპს "ალტურას"-ის დირექტორი:

კახაბერ ივანიძე



შპს ალტურას

2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული
შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნები	2018 ლარში
ამონაგები	12	23 025 670
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		<u>(22 515 736)</u>
საერთო მოგება		509 934
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	(123 600)
ცვეთა და ამორტიზაცია		(12 910)
იჯარის ხარჯი		(11 750)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(260 984)
საოპერაციო მოგება		<u>100 690</u>
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		<u>34 280</u>
მიმდინარე წლის მოგება		134 970
საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში		841 158
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში (წლის მოგება)		<u>134 970</u>
საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს		<u>976 128</u>

შპს “ალტურას”-ის დირექტორი:

კახაბერ ივანიძე



შპს ალტურას

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

“ალტურას” შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, ქ. თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №141, ბ. №47.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400144982.

რეგისტრაციის თარიღი: 18/05/2015

ძირითადი საქმიანობა: მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტ-იმპორტი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ქართულ ლარში).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების

განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20 %
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება ზარალში, როგორც იჯარის ხარჯი, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ინდივიდუალური თვითღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია (ექსპორტი) ხორციელდება როგორც ჩვეულებრივი საკრედიტო, ასევე წინასწარი გადახდის (საავანსო) პირობებით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო

შპს ალტურას

ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფულადი სახსრები

	31/12/2017	31/12/2018
	ლარში	ლარში
ფულადი სახსრები სალაროში	579 927	707
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	836	170
	<u>580 763</u>	<u>877</u>

4. სავაჭრო მოთხოვნები

	31/12/2017	31/12/2018
	ლარში	ლარში
სავაჭრო დებიტორები	388 057	479 718
	<u>388 057</u>	<u>479 718</u>

5. გადახდილი აგანსები

	31/12/2017	31/12/2018
	ლარში	ლარში
წინასწარი გადახდები მომწოდებლებზე	289 119	298 530
	<u>289 119</u>	<u>298 530</u>

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31/12/2017	31/12/2018
	ლარში	ლარში
მზა პროდუქცია (ცოცხალი პირუტყვი)	588 871	150 220
	<u>588 871</u>	<u>150 220</u>

7. სხვა მიმდინარე აქტივები

	31/12/2017 ლარში	31/12/2018 ლარში
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	11 176	1 486
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	3 044	2 102
წინასწარ გადახდილი დღგ	41 977	16 999
	<u>56 197</u>	<u>20 587</u>

8. ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა ლარში	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ლარში	სულ ლარში
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2018წ.	29 485	46 752	76 237
შემოსვლა	()	()	()
გასვლა	()	()	()
31 დეკემბერი, 2018წ.	29 485	46 752	76 237

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი, 2018წ.	14 887	24 652	39 539
წლიური ცვეთა	5 897	7 013	12 910
31 დეკემბერი, 2018წ.	<u>20 784</u>	<u>31 665</u>	<u>52 447</u>

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2018 წ.	<u>23 588</u>	<u>39 740</u>	<u>63 327</u>
-----------------------	---------------	---------------	---------------

9. სავაჭრო ვალდებულებები

	31/12/2017 ლარში	31/12/2018 ლარში
სავაჭრო ვალდებულებები	23 498	37 131
მიღებული ავანსები	1 114 588	()
	<u>1 138 086</u>	<u>37 131</u>

10. საწესდებო კაპიტალი შპს-ში

2017 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1 100 ლარს, რაც ფულადი სახით იყო შევსებული. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლის ფაქტობრივი შენატანის მიხედვით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებლის გაწყვეტილებით.

11. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგებას.

12. ამონაგები

	2018
	ლარში
საქონლის გაყიდვა	<u>23 025 670</u>
	23 025 670

13. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2018
	ლარში
თანამშრომელთა დარიცხული ხელფასი	<u>123 600</u>
	123 600

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2018
	ლარში
პირუტყვის კვების ხარჯი	12 100
მიწოდების ხარჯი	198 785
ფიზიკური პირების მომსახურების ანაზღაურება	12 483
თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევა	10 860
საკანცელარიო ხარჯი	106
კომუნიკაციის ხარჯი	914
ძირითადი საშუალებების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	593
საგადასახადო ხარჯი	698
საბანკო მომსახურების ხარჯი	10 174
სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>14 271</u>
	260 984

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს.

შპს “ალტურას”-ის დირექტორი:

კახაბერ ივანიძე

